დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
12 თებერვალი 2021
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
დიმიტრი ქუმსიშვილი

სააქციო საზოგადოება
„გრინ დაზღვევა საქართველო "

დებულება

სს „გრინ დაზღვევა საქართველოს" ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ

თბილისი, 2021 წელი

დებულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

საზოგადოება	-	სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველო“ (ს/ნ 404990435, რეგისტრაციის თარიღი - 13/05/2013 წელი)
ინსაიდერული ინფორმაცია	-	ზუსტი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ არ გამჟღავნებულა და პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ერთ ან რამდენიმე ფასიან ქაღალდს ან მის/მათ ემიტენტს/ემიტენტებს და რომელმაც საჯაროდ გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფასიანი ქაღალდის/ქაღალდების ან მასთან/მათთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს; ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლისთვის ან პირისთვის, რომელიც პასუხისმგებელია კლიენტის დავალებების შესრულებისთვის, – ინფორმაცია, რომელსაც აღნიშნულ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალს ან პირს კლიენტი აწვდის და რომელიც ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე დავალებების შესრულებას ეხება, თუ ეს ინფორმაცია არის ზუსტი ხასიათის, საჯაროდ არ გამჟღავნებულა და პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ერთ ან რამდენიმე ფასიან ქაღალდს ან მის/მათ ემიტენტს/ემიტენტებს და მან საჯაროდ გამჟღავნების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფასიანი ქაღალდის/ქაღალდების ან მასთან/მათთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტების ფასზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.
საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის ჩამონათვალი	-	საზოგადოების აქტივებთან დაკავშირებული ინფორმაცია: • საზოგადოების დაფინანსების სტრუქტურა; • ბიზნეს საქმიანობასთან არსებული მოლოდინები; • კორპორაციული მართვა და მასთან დაკავშირებული საკითხები; • სამართლებრივი დავები და მასთან დაკავშირებული საკითხები;
ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევა	-	ინსაიდერული ინფორმაციის მიღება, შენახვა, კომბინირება, გავრცელება, მიწოდება, ან ნებისმიერი სხვა გამოყენება, რომელიც მიმართულია მისი მესამე პირებისათვის გადაცემაზე.
ინფორმაციის გასაჯაროება	-	ინფორმაციის გამოქვეყნება ემიტენტის, საფონდო ბირჟის, ან საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებგვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სს „გრინ დაზღვევა საქართველოსთვის“ ინსაიდერული ინფორმაციის გასაჯაროების ფორმას წარმოადგენს ასეთი ინფორმაციის კომპანიის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება.
ინსაიდერი	-	- პირი რომლისთვისაც საწარმოს მართვის, ორგანოს წევრობის, ასეთი საწარმოს კაპიტალში მონაწილეობის (წილის) ან საქმიანობის, პროფესიული, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების საფუძველზე, ხელმისაწვდომია ინსაიდერული ინფორმაცია. - ინსაიდერად მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელიც ფლობს ინსაიდერულ ინფორმაციას და ამასთან იცის ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს ინფორმაცია არის ინსაიდერული.

საზოგადოების ინსაიდერების სია	-	ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ჩამონათვალი რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: - ყველა იმ პირის ვინაობას, რომელსაც წვდომა აქვს ინსაიდერულ ინფორმაციაზე; - პირის ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხაში შეყვანის მიზეზს; - თარიღსა და დროს, როდესაც პირმა მოიპოვა ინსაიდერულ ინფორმაციაზე წვდომა; - ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხის შედგენის თარიღს.
ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნება	-	ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად მიიჩნევა ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირის მიერ ამ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულმა პირმა მესამე პირს ინსაიდერული ინფორმაცია ჩვეულებრივი შრომითი, პროფესიული ან სხვა ვალდებულების შესრულების ფარგლებში გაუმჟღავნა. ვებ-გვერდის მისამართი: www.greenig.ge
ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის მაკონტროლებელი პირი		პირი, რომელსაც საზოგადოების გენერალური დირექტორის ბრძანებით დაკისრებული აქვს მოვალეობა განახორციელოს კონტროლი საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევაზე, მათ შორის ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელთა ნუსხის წარმოებაზე.

1. ზოგადი დებულებები:

1.1 გამოყენებული სამართლებრივი ნორმები:
ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ წინამდებარე დებულება (შემდგომ -„დებულება“) შემუშავებულია: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბერის №180/04 ბრძანების - „ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბერის ბრძანება №181 /04 ბრძანების - „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 14 თებერვლის №35/04 „ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრების და აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების, 2014 წლის 27 ივნისის „ასოცირების შესახებ შეთანხების“ დანართი №15-ის, 2003 წლის 28 იანვრის ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2003/6/EC დირექტივის „ინსაიდერული გარიგებების და ბაზრის მანიპულაციის შესახებ“ და 2004 წლის 16 აპრილის ევროკომიის #596/2004 „ბაზრის ბოროტად გამოყენების შესახებ“ რეგულაციის შესაბამისად.

1.2 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს:
1.2.1. ინსაიდერული ინფორმაციის ცნებას და მისი ფორმირების წესს;
1.2.2. ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის და დაინტერესებული პირებისათვის მისი მიწოდების პროცედურას, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
1.2.3. ინსაიდერული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის რეგულირებას;
1.2.4. ინსაიდერების მიერ საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტებით გარიგებების განხორციელების წესს;
1.2.5. სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების პრევენციისა და აღკვეთისათვის;

2. დებულების მიზნები:
2.1. წინამდებარე დებულების შექმნის მიზანია:
2.1.1. საზოგადოების მიერ ინსაიდერულ ინფორმაციასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი რეგულირების შესრულება/დაცვა;
2.1.2. ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილება, გამოვლენა და აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის რეალიზება;
2.1.3. იმ აქციონერთა და პირთა უფლებების და ქონებრივი ინტერესების დაცვა, რომლებიც ახორციელებენ გარიგებებს საზოგადოების ფინანსური ინსტრუმენტებით;
2.1.4. ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის, კონფიდენციალობის დაცვის წესის და ასევე მათ შესასრულებლად მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლი;
2.1.5. საზოგადოებაში ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევაზე კონტროლის დამყარება;

3. ინსაიდერული ინფორმაცია:
3.1 სს „გრინ დაზღვევა საქართველოსთვის“ ინსაიდერულ ინფორმაციას წარმოადგენს:
3.1.1. მნიშვნელოვანი ცვლილებები საზოგადოების აქტივების ღირებულებაში;
3.1.2. მატერიალური აქტივების ან ქონების განადგურება ან გასხვისება;
3.1.3. მნიშვნელოვანი მოვალეების გადახდისუუნარობა;
3.1.4. საინვესტიციო პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა ან შემცირება;
3.1.5. ოპერაციები, რომლებიც უკავშირდება საზოგადოების კაპიტალსა და ვალდებულებებს;
3.1.6. ახალი ვალდებულებების აღება, მათ შორის სასესხო ფასიანი ქაღალდების ან სხვა სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვება;
3.1.7. კომერციული ბანკის ან სხვა კრედიტორებისგან აღებული ვალდებულების რესტრუქტურიზაცია ან საკრედიტო ხაზის გაუქმება;
3.1.8. საწესდებო კაპიტალის გაზრდასთან ან შემცირებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;
3.1.9. საზოგადოების მიერ საკუთარი აქციების გამოსყიდვასთან ან სხვა საჯარო ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება;
3.1.10. საზოგადოების საოპერაციო შედეგები;
3.1.11. შერწყმა, გაყოფა ან სხვაგვარი რეორგანიზაცია;
3.1.12. საზოგადოების მიერ სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი წილის ან სხვა აქტივების შეძენა ან განკარგვა; განხორციელებული ან დაგეგმილი ცვლილებები ბიზნეს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის არსებული მიმართულების საქმიანობის სფეროების გაფართოება/შემცირება ან ბიზნეს საქმიანობის ახალ სფეროში შესვლა ან არსებულიდან გამოსვლა;
3.1.13.ინოვაციური პროდუქტის ან პროცესების დანერგვა;

3.1.14. ახალი ლიცენზიების, პატენტების, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მიღება;
3.1.15. რესტრუქტურიზაცია ან რეორგანიზაცია, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების აქტივებსა და ვალდებულებებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე ან მოგებასა და ზარალზე;
3.1.16. მნიშვნელოვან მომწოდებლებთან ან კლიენტებთან ხელშეკრულებების შეწყვეტა/გაუქმება, ან მათი პირობების დარღვევა;
3.1.17. ცვლილებები საზოგადოების კონტროლში ან კონტროლთან დაკავშირებულ შეთანხმებებში;
საზოგადოების მმართველ ორგანოსთან დაკავშირებული ცვლილებები;
3.1.18. საზოგადოების მომსახურე აუდიტორების ან მისი საქმიანობისთვის კრიტიკული მომსახურების გამწევ პირთა/ექსპერტთა ცვლილება ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები;
3.1.19. მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავები;
3.1.20. გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება; საზოგადოების ლიკვიდაცია ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

4. ინსაიდერთა სია:
4.1. საზოგადოებაში ინსაიდერთა აღრიცხვის მიზნით, წარმოებს საზოგადოების ინსაიდერთა სია.
4.2. ინსაიდერების სიის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ინიშნება, დასანიშნი კანდიდატის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებითა და გენერალური დირექტორის ბრძანებით.
4.3. საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შედიან:
4.3.1. მმართველი ორგანოს წევრები;
4.3.2. პირები, რომლებიც საზოგადოების კაპიტალში ფლობენ აქციებს;
4.3.3. პირები, რომლებსაც ინსაიდერულ ინფორმაციაზე ხელი მიუწვედებათ შრომითი, პროფესიული ან სხვა ვალდებულების შესრულების გამო;
4.4. პირი საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამორიცხვას ექვემდებარება იმ დღის მომდევნო დღეს, როდესაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა მოცემულ პირთან ურთიერთობების შეწყვეტის თაობაზე.
4.5. საზოგადოების ინსაიდერთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას საზოგადოების შესახებ:
4.5.1. საზოგადოების სრული საფირმო სახელწოდება;
4.5.3. საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერი;
4.5.5. საზოგადოების იურიდიული მისამართი;
4.5.6. საზოგადოების საკონტაქტო მონაცემები.
4.6. საზოგადოების ინსაიდერთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ინსაიდერების - იურიდიული პირების შესახებ:
4.6.1. საზოგადოების სრული საფირმო სახელწოდება;
4.6.2. საზოგადოების საიდენტიფიკაციო ნომერი;
4.6.3. საზოგადოების იურიდიული მისამართი;
4.6.4. საზოგადოების საკონტაქტო მონაცემები.
4.7. საზოგადოების ინსაიდერთა სია უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას ინსაიდერი - ფიზიკური პირების შესახებ:
4.7.1. სახელი, გვარი;
4.7.2. ცნობები პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ (სერია,ნომერი);
4.7.4. ცნობები ფიზიკური პირის ფაქტობრივი მისამართის შესახებ;
4.7.5. ცნობები მისამართის შესახებ, სადაც ფიზიკური პირი იღებს ინფორმაციას (დოკუმენტებს);
4.8. საზოგადოების ინსაიდერთა სია შეიცავს ცნობებს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში პირის შეყვანის თარიღისა და საფუძველის შესახებ, აგრეთვე ცნობები პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამოღების თარიღისა და საფუძველის შესახებ (პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამოღების დროს).
4.9. ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებიც შეყვანილი არიან საზოგადოების ინსაიდერთა სიაში ცვლილებას ექვემდებარება 1 სამუშაო დღის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც ცნობილი გახდა შესაბამისი ცვლილების დადგომის შესახებ.
4.10. საზოგადოება ვალდებულია პირს შეატყობინოს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში მისი შეყვანის გაუქმების შესახებ.
4.11. შეტყობინებას პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანის შესახებ საზოგადოება გადასცემს უშუალოდ პირს, რომელიც შეყვანილ იქნა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, ან აგზავნის აღნიშნული პირის მისთვის ცნობილ მისამართზე ისეთი საშუალებით, რომელიც ასეთი პირის მიერ მოცემული შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში მოცემული პირის შეყვანის თარიღიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.12. შეტყობინებას პირის საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან ამოღების შესახებ საზოგადოება გადასცემს უშუალოდ პირს, რომელიც ამოღებულ იქნა საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან, ან აგზავნის აღნიშნული პირის მისთვის ცნობილ მისამართზე ისეთი საშუალებით, რომელიც ასეთი პირის მიერ მოცემული შეტყობინების მიღების დადასტურების საშუალებას იძლევა საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან მოცემული პირის ამოღების თარიღიდან არა უგვიანეს 1 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.13. თუ საზოგადოების შეტყობინება, რომელიც მან გააგზავნა საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი პირის მისთვის ცნობილი მისამართზე, არ მიუღია აღნიშნულ პირს საზოგადოებისაგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, საზოგადოება ასეთი ფაქტის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა შესაბამისი ფაქტის შესახებ.

5. ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენების აკრძალვა:

5.1. აკრძალულია ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენება იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც პირდაპირ არის დათქმული საქართველოს კანონმდებლობით.
5.2. აკრძალულია ინსაიდერული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისათვის, საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი პირების გარდა.
5.3. აკრძალულია ინსაიდერული ინფორმაციის საფუძველზე მესამე პირისათვის რეკომენდაციების მიცემა.
5.4. აკრძალულია ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიეკუთვნება ინსაიდერული ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება მისი გადაცემის, გახმაურების ან გამოყენების მიზნით.

6. ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის წესი და ინსაიდერული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის წესები

6.1. საზოგადოების ინსაიდერულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება აქვთ მხოლოდ საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ პირებს.
6.3. პირებმა, რომელთაც აქვთ ინსაიდერული ინფორმაციის წვდომა, ვალდებული არიან დაიცვან წინამდებარე დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვები.
6.4. ნებისმიერი პირი, რომელსაც არა აქვს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლება, მაგრამ მიიღო აღნიშნული ინფორმაცია, ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალვები.
6.5. იმ იურიდიულ პირებთან ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე იღებენ საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლებას, აღნიშნულ ხელშეკრულებებში სავალდებულო წესით შეტანილი უნდა იყოს დებულებები აღნიშნულ პირთა ვალდებულების შესახებ დაიცვან წინამდებარე დებულების, ინსაიდერული ინფორმაციის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
6.6. იმ ფიზიკურ პირებთან შრომის ხელშეკრულებების და სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებების საფუძველზე იღებენ საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლებას, აღნიშნულ ხელშეკრულებებში სავალდებულო წესით შეტანილი უნდა იყოს დებულებები აღნიშნულ პირთა ვალდებულების შესახებ დაიცვან წინამდებარე დებულების, ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის.
6.7. წინამდებარე დებულების მიზნების მისაღწევად, საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ყველა აუცილებელი მოქმედება, რომელიც მიმართულია ინსაიდერული ინფორმაციის დაცვაზე არამართლზომიერ გამოყენებისაგან, მათ შორის:
- მიანიჭოს (ჩამოართვას და შეზღუდოს) საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის წვდომის უფლება საზოგადოების მუშაკებს, თანამდებობის პირებს, აგრეთვე სხვა პირებს, რომლებსაც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე აქვთ ინსაიდერული ინფორმაციის წვდომა;
-განახორციელოს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის აღრიცხვის ჟურნალის ფორმირება და წარმოება, დააფიქსიროს პირთა ინსაიდერულ ინფორმაციასთან დაშვების ფაქტები;
6.8. საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

7. ინსაიდერული ინფორმაციის შესახებ კანონმდებლობის დაცვის კონტროლი:

7.1. ინსაიდერები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნები:
7.1.1. საზოგადოების სახელით ნებისმიერი გარიგებების დადების დროს;
7.1.2. ნებისმიერ გარიგებების დადების დროს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს (დააზიანოს) საზოგადოების ინტერესებზე.
7.2. ინსაიდერულ ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის დაცვისა და მიმოქცევის კანონმდებლობის და წინამდებარე დებულების მოთხოვნების შესრულების კონტროლს.

7.3. პასუხისმგებელი პირი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

7.3.1. აკონტროლებს საზოგადოების მიერ ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის, წინამდებარე დებულების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დაცვას;
7.3.2. ადგენს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციის ჩამონათვალის, და წარდგენას სამეთვალყურეო საბჭოსათვის დასამტკიცებლად;
7.3.3. ახორციელებს საზოგადოების ინსაიდერთა სიის ფორმირებას, აგრეთვე უზრუნველყოფს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში ცვლილებების შეტანას;
7.3.4 ატყობინებეს ინსაიდერებს მათი შეყვანის შესახებ საზოგადოების ინსაიდერთა სიაში;
7.3.5. ატყობინებს ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირებს მათი ამორიცხვის შესახებ საზოგადოების ინსაიდერთა სიიდან;
7.3.6. უზრუნველყოფს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ პირთათვის საზოგადოების მიერ გაგზავნილი შეტყობინებების შენახვას;
7.3.7. უზრუნველყოფს საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილ ფიზიკურ პირთაგან პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ მიღებული თანხმობების შენახვას;

7.4. საკუთარი ფუნქციების განხორციელების პროცესსში ინსაიდერულ ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია:
7.4.1. მიიღოს და შეინახოს საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაცია;
7.4.2.იმყოფებოდეს საზოგადოების სათავსოებში, სადაც განთავსებულია საზოგადოების ინსაიდერული ინფორმაციისათვის მიკუთვნებული დოკუმენტები;
7.4.3. საზოგადოების ინსაიდერთა სიაში შეყვანილი პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია და (ან) დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია ინსაიდერული ინფორმაციის მიმოქცევის და ბაზრით მანიპულირების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და აღნიშნული დებულების შესაბამისად მიღებულისაზოგადოების ადგილობრივინორმატიული აქტების შესრულებასთან (შეუსრულებლობასთან);

8.პასუხისმგებლობა :
8.1. საზოგადოების ინსაიდერები, რომლებიც ამავდროულად საზოგადოების მუშაკები არიან, პასუხისმგებელნი არიან ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე და შეიძლება მიცემული იქნან დისციპლინარულ, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის და საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.
8.2. საზოგადოების ინსაიდერები, რომლებიც არ არიან საზოგადოების მუშაკები, პასუხისმგებელი არიან ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე და შეიძლება მიცემული იქნენ ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო- სამართლებრივ პასუხისგებაში საქართველოს კანონმდებლობის და საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად.
8.3. პასუხისგებაში შეიძლება იქნენ მიცემული სხვა პირებიც, რომლებიც არ შედიან საზოგადოების ინსაიდერთა სიაში, მაგრამ ავრცელებენ ინსაიდერულ ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა.
8.4. პირებმა, რომლებმაც დაუშვეს ინსაიდერული ინფორმაციის არასანქციონირებული გავრცელება, გარიგებები ან სხვა არამართლზომიერი გამოყენება, პასუხისმგებელი არიან თავის ბრალეულ ქმედებებზე, უმოქმედობაზე.
8.5 საზოგადოებას და (ან) პირებს, რომლებისთვისაც ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამოყენების შედეგად ზარალი იქნა მიყენებული, შეუძლიათ ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებასა და/ან გავრცელებაში ბრალეულ პირებს მოსთხოვონ ზარალის ანაზღაურება.

9.დასკვნითი დებულებები
9.1. თუ წინამდებარე დებულების ცალკეული პუნქტები ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან საზოგადოების წესდებას, აღნიშნული პუნქტები ძალადაკარგულად უნდა იქნეს მიჩნეული. წინამდებარე დებულების ცალკეული პუნქტების ბათილობა არ იწვევს დებულების სხვა პუნქტების ან მთლიანად დებულების ბათილობას.
9.2. წინამდებარე დებულების ნებისმიერ ცვლილება/დამატება დამტკიცებულ უნდა იქნეს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.
9.3. წინამდებარე დებულება, თავის დანართებთან ერთად, უნდა განთავსდეს საზოგადოების ოფიციალურ გვერდზე შემდეგ მისამართზე: www.greenig.ge